10-ს ივლისს. № 19 1886 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

1883-1886

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ხუთჯერ, ყოველი თვის ათს, ოცს და ოც-და-ათ რიცხვებში.

რა მიზეზია, რომ ასე ცოტანი იგზავნებიან ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში კურს შესრულებულნი სემინარიის პირველ კლასში?

ვგონებთ, ყველამ კარგათ იცის ის წესი, რომლითაც ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში კურს შესრულებულნი პირნი შედიოდენ სემინარიის პირველ კლასში. 1883 წლამდე ყველა იმ მოწაფეებს, რომელნიც სასულიერო სასწავლებლის მეოთხე კლასს გაათავებდენ, ნება ჰქონდათ სემინარიის პირველ კლასში შესულიყვნენ, თუ სემინარიაში კარგად ეკზამენს მისცემდენ. ხშირი შემთხვევა იყო, რომ პირველი რიგის ზოგიერთი მოწაფენი, რომელთაც ყველა საგნებში ოთხი და ხუთი ნიშნები ჰქონდათ, ვერ იჭერდენ სემინარიის პირველ კლასში შესასვლელ ეკზამენს და მეორე რიგის ზოგიერთი მოწაფენი კი ხშირად პირველ რიგის მოწაფეებზე უფრო კარგს ეკზამენებს იჭერდენ. ეს წესი ერთის მხრით კარგიც იყო, რადგან მაშინ უფრო ბევრი შაგირდები ხდებოდნენ ღირსნი სემინარიის პირველ კლასში შესვლისა და მეორე რიგის მოწაფეებსაც გზა ხსნილი ჰქონდათ სწავლის გაგრძელებისათვის. ბოლოს დროს უწმიდესმა სინოდმა შენიშნა, რომ ბევრ მოწაფეთ უბრალო ხარჯი მოდიოდათ იმ ადგილებში წასასვლელათ, სადაც სემინარიები იყო, რადგან ხშირად ეკზამენებს ვერ იჭერდენ და ისევ უკან ბრუნდებოდენ და მასთან დროც აღარ რჩებოდათ, რომ სხვა სასწავლებლებში შესულიყვნენ და მეორეს მხრით სემინარიის მასწავლებლებსაც უბრალო შრომა მოსდიოდათ.

წინა დროებში ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში გარდა სასწავლებლის ზედამხედველისა არც ერთი პირი არ მოიძებნებოდა, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში ჰქონიყო სწავლა შესრულებული. ხშირად ზედამხედველიც სასულიერო სემინარიაში კურს შესრულებული იყო. მაგრამ დღეს კი ყველა ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში სასულიერო აკადემიაში კურს შესრულებულნი პირნი ბევრნი არიან, ასე რომ დღეს ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში უმეტესად ისეთივე ნასწავლი პირნი არიან მასწავლებლად, როგორებიც სემინარიებში. ერთის სიტყვით ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლების მასწავლებელნი და სემინარიებისა თანასწორნი არიან და სირცხვილიც იქნებოდა, რომ მათზედ ნდობა არ გამოეცხადებიათ. ამ მიზეზისა და სხვათა მოფიქრებათა გამო უწმიდესმა სინოდმა 18 დეკემბერს 1883 წელსა გამოსცა უქაზი, რომლის ძალითაც სასულიერო სასწავლებლების სამმართველოებს მიენიჭათ უფლება, რომ მათი წარდგინებით მეოთხე კლასში ღირსეულად კურს შესრულებულნი მოწაფეები სემინარიის პირველ კლასში გამოუცდელად ყოფილიყვნენ მიღებულნი. ეს განკარგულება უწმიდესი სინოდისა სწორედ რომ შვენიერი განკარგულება არის. ერთი რომ დღეს მოწაფეს უბრალო ხარჯი და სიარული არ მოდის და რომელმაც იცის, რომ მას სემინარიაში არ მიიღებენ, ის თავის დროზე შეუდგება ცდას, რომ მოემზადოს და რომელიმე სხვა სასწავლებელში შეეიდეს და სწავლა გააგრძელოს.

საერო სასწავლებლებში დიდი ხანია, რაც ამისთანა წესია შემოღებული. როდესაც პროგიმნაზიის მეოთხე კლასს ათავებს მოწაფე და ყველა საგნებში გამოცდის დროს გადასაყვან ნიშნებს იღებს, ის გამოუცდელად და დაუბრკოლებლად გადადის გიმნაზიის მეხუთე კლასში. როდესაც ბემნაზიას ათავებენ მოსწავლენი

და მოწიფულობის მოწმობაებს იღებენ, ისინი გამოუცდელად და უდავიდარაბოთ შედიან მაღალ სასწავლებლებში. ჩვენის აზრით სასულიერო სასწავლებელშიაც ასევე უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის ჯერ-ჯერობით.

მოსამზადებელი კლასიდგან დაწყობილი მეოთხე კლასამდინ შაგირდები ბლომად გადადიან ერთი კლასიდგან მეორეში. ყოველ შაგირდს აქვს უფლება შემდეგ კლასში გადასვლისა, თუ საგნებში გამოცდის დროს სამზე ნაკლები არ მიიღო. ორმოც-და-ათ შაგირდში შეიძლება სუსტი სწავლისა გამო ხუთი ანუ ათი დარჩეს მეორე წელს იმავე კლასში, რომელშიაც სწავლობდა. ასე მიდის საქმე მხოლოდ მეოთხე კლასამდინ. აქ კი სულ სხვას ვხედავთ. ვსთქვათ, მეოთხე კლასს ათავებს 50-50 შაგირდი, ამათში ღირსი ჩნდება სემინარიის პირველ კლასში შესვლისა მარტო 20-25 მოწაფენი, დანარჩენები კი სუსტებად, უღირსად ითვლებიან, გამოცდის დროს ყველა საგნებში სამ-სამი ნიშნებიც რომ მიიღონ. რა მიზეზი არის, რომ მეოთხე კლასამდი ერთი კლასიდგან მეორეში ბევრი მოწაფეები გადადიან და ამ კლასიდგან კი ძლიერ მცირე? აქ, ცხადია, რომ ორში ერთი უნდა იყოს. ანუ მოსწავლენი სუსტად მომზადებულნი გადადიან ძირა კლასებიდგან ზედა კლასებში და მეოთხეს ვეღარ ათავებენ რიგიანად, ანუ ადგილის უმექონლობისა გამო ყველას არ აძლევენ ნებას სემინარიის პირველ კლასში შესვლისას. ამ მიზეზებს, რომელიც უნდა იყოს, საჭიროა ყურადღება მიექცეს, ვისგანაც რიგია. ამ სტრიქონების წერის დროს ჩვენ სახეში ერთი და ორი სასულიერო სასწავლებელი არა გვაქვს. ჩვენ ვამბობთ აქ საზოგადოდ როგორც აქაურ ოთხ კლასიან სასწავლებელზე, ისე სხვა ქვეყნების ოთხკლასიან სასწავლებლებზე. ჩვენის აზრით სიტყვა: ღირსია სემინარიის პირველ კლასში შესვლისა, რომელსაც ოთხ-კლასიანი სას. სასწავლებლების სამმართველოებიდგან თხოვილობენ, ბევრად აბრკოლებს საქმეს და დიდი უსიამოვნების მიზეზია. საგნების ცოდნის გამოჩენისათვის ნიშნებია მიღებული და ამ ნიშნებმა უნდა გარდაწყვიტოს საქმე ისე, როგორც საერო წოდების სასწავლებლებში არის დაწესებული.

მოწაფე, ვსთქვათ, არის ძრიელ კარგი ყოფაქცევისა; ამაში დარწმუნებული არის სასწავლებლის სამმართველო. ყოველ საგნებში გამოცდის დროს მოწაფემ მიიღო ერთი კლასიდგან მეორეში გადასაყვანი ნიშნები, ე. ი. არა ნაკლები სამზე. რაღა საჭირო არის აქ მოწმობაში დაწერა: ღირსია სემინარიის პირველ კლასში შესვლისა. შაგირდის სემინარიის პირველ კლასში შესვლის ღირსებას ამტკიცებენ მისი ყოფა-ქცევის და საგნების სწავლის ნიშნები. ვიმეორებთ, რომ ზემოხსენებულის სიტყვების დაწერაშიდ დიდ გაჭირვებაში არიან ჩავარდნილი სასწავლებლების სამმართველონი. არ გვჯერა, რომ სასწავლებლების სამმართველონი სხვა-და-სხვა მოფიქრებათა გამო სწავლას უმეტეს ყურადღებას არ აქცევდენ ყოფა-ქცევაზე და მარტო სწავლა, თვინიერ კეთილი ყოფა-ქცევისა, რომ გროშად არა ღირს, ამას ცხადად გვიმტკიცებენ ეხლანდელი დროის შაგირდები.

ამ საგნებზე თუმცა ბევრი გვაქვს ჩვენ სალაპარაკო, მაგრამ ყველას აქ ვერ გამოვსთქვამთ. იმედი არის, რომ სასულიერო მთავრობა მიაქცევს ყურადღებას ამ საგანს და გამოიყვანს ეჭვისაგან ზოგიერთ სასწავლებლების სამმართველოთა.

ბაბელის შენობა ჩვენი ენის ფორმები ხმარებაში. *)

რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს.

გრ. ორბელიანი.

კოლეჟ დე-ფრანსის გამოჩენილმა პროფესორმა ბ. დეშანელმა სთქვა: ჟან-ჟაკ რუსოს თავის თანამედროვენი ზოგიერთ სიტყვის-საქცევებს უწუნებდენო, მაგრამ დღეს სასაცილო იქნება, ამას რომ გამოვეკიდოთო.

ჩვენში კი დღეს სატირალია, რომ ჩვენი ენის ვითარებამ ბასი გამოიწვია. სატირალია მისთვის, რომ ჩვენში უმეცრების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს ეს მოვლინება ვისრამიანსა და ვეფხვის-ტყაოსანს აქეთ, მაშინ როდესაც ჟან-ჟაკ რუსოს დროს ფრანგულს ენას ჯერ კიდევ თან-და-თანი წარმატება ეძლევოდა და ის ჩივილი ენის გამდიდრებისა და მის დამკვიდრების სურვილით იყო გამოწვეული.

ჩვენ ჩვენის უმეცრებით, უკან ჩამორჩენით ენას ვრყვნით. მაგრამ ამ ენის გარყვნის დამნაშავე ჩვენ მარტო ახალი მოდგმა არა ვართ. მისი დასაბამი მიეწერება იმ გამოჩენილს მე-XVIII საუკუნეს, როდესაც ყოველგვარი გაჭირვების დროს დაიწყო მეცნიე-

*) დიდის სიამოვნებით ვაძლევთ ადგილს ჩვენს გამოცემაში ბ. მირიანაშვილის ამ წერილს შეუცვლელად. ჩვენის აზრით, უკანონობა იქნება, რომ ამ კითხვის შესახებ ყველას არ მიეცეს თავისი აზრის გამოთქმის თავისუფლება ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში. ვინემ საქვეყნოდ არ გამოუცხადებია კაცს თავისი აზრი რომელისამე სიტყვების ხმარების შესახებ, სწორედ უკანონობა იქნება მას ვუთხრათ: «თუ ჩემი სიტყვების ხმარება თქვენ არ მოგწონს, ჩვენ თქვენი არ მოგვწონსო!» საზოგადო კითხვის საქმე «შენისა და ჩემის» მოწონებით არ უნდა გათავდეს.

რედ.

რებისა და მწერლობის ვითომც აღორძინება, რომელიც უფრო ჰგავდა სულთ-მობრძავის უკანასკნელს მოხედვას. ეს დანაშაული მთლად ედება იმ დროის მოღვაწეებს, რომელნიც, ოქროს საუკუნე იქით იყოს, საბა ორბელიანისა და დავით ბურამიშვილის მაყურებელნი ვერ გამოვიდენ სკოლასტიკის შელოცვილის წრისგან. ჩვენებურ მე-XVIII საუკუნის ერაზმ-რეიხლინებს მასთან რომ საკლასიკო განათლება იშვიათად მოეძებნებოდათ, ვიწრო ანუ უკეთა ვსთქვათ, ერთი სარბიელი ჰქონდათ მოქმედებისთვის. ეს იყო სკოლა. ანტონ ქათალიკოზის გრამმატიკა სკოლისთვის არის დაწერილი! აქითგან ცხადათ ჩსჩანს, თუ რამდენად გაეგებოდათ მათ სწავლების დროს ცოველის, სხარტულის ენის მნიშვნელობა. მაგრამ საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ახირებული შეხედულება ჰქონიათ ენასა და მწერლობაზე. საბა ორბელიანს ვერ იცნობთ მის ლექსიკონში, განსაკუთრებით როდესაც ხსნის განყენებულ სიტყვებს და ამყარებს სქესებს. ჩვენს ნიადაგზე მშრომელი მესკოლასტიკეები იმ უმეცრებამდე მივიდენ, რომ ქართულშიაც, სხვა ენების მიხედვით, შემოიღეს სქესები. მათ მიერ შეთხზული მთავრ-ინა, მოაბელ-ა და მაკაბელ-ა საუკუნოდ დარჩება ჩვენს მწერლობაში მათ განმახასიათებლად. დღეს რომ ვინმე ქრისტიანმა მოინდომოს ჩვენის საღვთო წერილის ენის გასწორება და წესიერად გამართვა, მგონია ყბად ასაღები გახდეს იგი. მათზედ არა ნაკლებ წინ წაწია ჩვენის გრამმატიკის მეცნიერება ცხონებულმა «მიმომაეალის ურიის» მთარგმნელმა ალექსი-მესხიშვილმა სქესების შემოღებით. მის მიერ შეთხზული სქესიანი ნაცვალ-სახელებიც აგრეთვე დარჩებიან დროების ნიშნებად; მაგრამ ძველნი როგორ გავამტყუნო, როდესაც ბ. ილია ჭავჭავაძის «ივერია» უცხო გაელენით „განბრძნობილი“ მთავრ-ინა-ს ხმარობს. უკან სვლაც ამას ქვიან ენის მეცნიერებაში! მაგრამ არა ნაკლები უკან სვლა იქნება, თუ ახლანდელს მწერლობას გადავხედავთ.

ეს გრამატიკის უკან სვლა გამოიხატება ორ ნაირად. პირველად ჩვენის საკუთარი ფორმების და მეორედ უცხო ენებისაგან ნავასხი სიტყვების ხმარებით. ეს მდგომარეობა თუ გაგრძელდა ჩვენის ენის მდინარე ველარ დაილეკს უცხო ენების მდინარეთაგან შემოტანილს ხენჯს და სამუდამოდ მღვრიე დარჩება. სანამ შეეხებოდე უცხო სიტყვებს, ვიტყვი, თუ რა ბაბელის შენობაა ჩვენის ენის საკუთარი ფორმების ხმარებაში. ხან სიტყვის მნიშვნელობა არ ვიცით და ისე ეხმარობთ, როგორც გვეპრიანება, ხან კი სრულიად არ ვიცით, როგორ ვიხმაროთ. შარშან პარიზითგან „დროებას“ გამოუგზავნე ვიკტორ ჰუგოს ბიოგრაფია. „დროებას“ რომ ვიკტორ ჰუგოსთვის უფრო დიდი მნიშვნელობა მიეცა, ჩემ წერილში შეეტანა ერთი მისთანა დასართავი (*épithète*), რომელიც პოეტის დიდებას თუ ხელს არ უშლის, არც არაფერს უმატებს. ეს დასართავი სახელი გახლავს შესანიშნავი და საარაკო „კაცად-კაცადი“. ეს სიტყვა თარგმანებით ნიშნავს თვითოს, თვითო-თვითოს, თვითოეულს, ყოველს. როდესაც პავლე მოციქული ამბობს: „კაცად-კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოსო (გალატ. ვ. ე.) კაცად-კაცადით უნდა გვესმოდეს, თვითოეულიე, ყოველი. წესსაც ერთ ჩემ წერილთაგანში სახელდობრ «ბერძნებ-რომაელებისა და ქართველების ჩვეულებათა მსგავსებაში“ ვიხმარე სიტყვა «სიმართლე» უფლების გამოსახატავად. სიმართლე, სამართალი, *droit*, право როგორც ნამდვილის მნიშვნელობით, ისე გადატანილის აზრითაც ერთმანეთის თანახმანი არიან. პატივცემულს, „ივერიის“ რედაქციონს „სიმართლე“ უარ-უყვია და ეის მაგიერ შეუტანია «მართლიერება». რა საფუძვლით? ბავარჩიოთ «ივერიის» ახალი სიტყვა. «მართლიერება» წარმოუდგენია სიტყვისაგან „მართლიერი“ რომელიც არ არსებობს ქართულს ენაში და არც არის წესიერად შედგენილი ნეოლოგისმი. ამ მოგონებულს სიტყვაში «ერი» დაბოლოებაა, რომელიც ქართულ ენაში დაერთვის დასართავს კი არა, არსებითს სახელს. „ქართალი“ თავად დასართავია და რადღა ეჭირვება ხორცმეტი? მაგრამ ერთი ხორცმეტიც არ უკმარებიათ; მაზედ კიდევ მეორე გამოუბიათ. არა ქართული სიტყვისაგან „მართლიერი“ გაუკეთებიათ «მართლიერებანი», ეს მეტი წვალება განა შესაძლებელია კიდევ? სიტყვა მართალი შეიძლება დაიქნეს მხოლოდ ამ ნაირად: სი-მართლ-ე, სა-მართალ-ი, სა-მართლ-იანი, სა-მართლიან-ობა, მართლ ობა, გა-მართლ-ება. სჯულის მეცნიერების მსაზღვრავად ჩვენა გვაქვს მხოლოდ «სამართალი» „სიმართლე“ და ერთი სხვა სიტყვაც «ხელი». ივერიის მეორე შესანიშნავი სიტყვა გახლავთ «უკედ». რა არის ეს „უკედ“? რად სწერენ დ-ონით? სიტყვა ,,უკედ'' შემოკლებულია სიტყვისაგან «უ-კეთ-ეს-ად», რომელიც ზმნისზედაა. ამ სიტყვაში თავს მჯდომი უ ნი და „ესი“ გვაჩვენებენ შედარების ხარისხს; «ად» კი — ზმნისზედის დაბოლოებას. ამ გვარად რჩება მხოლოდ ძირი „კეთ“,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც თავდება თ-ანით და არა დ-ონით. თავად ბერძნულის სიტყვის აგათ-ოს (კეთილი) ძირში მოისმის თ-ეტა, რომელიც თ-ანის დარია. სიჩქარისთვის ვამბობთ «უკეთ», რომ არა ვთქვათ „უკეთესად“. ამ სიტყვით «უკეთ» თ-ანი ძირის თ-ანია და არა დაბოლოების, ამისთვისაც მისი დ-ონად გადაკეთება ყოველად შეუძლებელია. ხელი გვაქვს ზმნისზედის დაბოლოებაში „ად“ დ-ონი თ-ანად შევცვალოთ, მაგრამ ამასაც თავის დრო და ადგილი გააჩნია. ამ გვარი წესი შეგვიძლია ვიხმაროთ მხოლოდ იმ სიტყვებში, რომელთაც დაბოლოვება არის ი-ნი. ამას გარდახშირად შეგვხდება შემდეგი ურჩხულები: «უცხოური, ძმებთა, აღიარება, ვაღიარებ, საღიარებელი, აღიარებული, მებრვე» მის მაგიერ რომ ვთქვათ: „უცხო, ძმათა, აღსარება, აღვიარებ, აღსაარებელი, აღსარებული, მზგავსადვე“.

აქვე უნდა ვთქვა, რომ ჩვენმა პოეტებმა და მწერლებმა თუ თავიანთ თხზულებათა ენა ხელახლად არ გამართეს, დიდად დააშავებენ. ქართულის ენის სამეცნიერო სწავლა რამდენი უფრო გავრცელდება ჩვენში, იმდენად უფრო მკაცრად მოეკიდებიან მათ ნაწერებს. დარწმუნებული იყავით, რომ დღეს ალფონს დოდე და ემილ ზოლა მისთანა შეცდომებით რომ ჰსწერდენ, როგორც ჩვენი გამოჩენილი მწერლები და პოეტები, მის ნახევარი ფასიც არ ექნებოდათ მათ ნაწერებს, რაც ახლა აქვთ. ამბობენ სიტყვა აზრის მატარებელიაო, და მატარებელი თუ კარგად არ არის გამართული, ხომ ველარ ზიდავს თავის ტვირთს.

დამახინჯებულად ვხმარობთ აგრეთვე ზოგიერთი ქალაქებისა და ქვეყნების სახელებს, რომელთაც დაბოლოებაა „ისი“ ან „ეთი“. აკილოთ მაგალითად ტფილ-ისი, ქუთა-ისი, ქახ-ეთი, იმერ-ეთი. შემდეგი ფორმების წარმოებისათვის ცხადია დაბოლოება უნდა მოიკვეცოს გრამატიკის წესით, მაგრამ დღეს ალარ დაიქებენ. მაშასადამე უნდა ვთქვათ ტფილ-ელი, ტფილ-ური, ქუთათ-ელი, ქუთათ-ური ქახ-ელი, ქახ-ური, იმერ-ელი, იმერ-ული და არა ტფილის-ური, ქუთაის-სური. ტფილის-ელი, ქუთაის-ელი, ქაზეთ-ელი, იმერეთ-ელი. აკილოთ ზოგიერთი შერეული მაგალითები: ჩინ-ეთი, ჩინ-ელი, ჩინ-ური. თურქეთი, რუსეთი, თურქ-ული, რუსუ-ული, თურქი, რუსი. ამ ორ უკანასკნელს მაგალითში მკითხველიც დაინახავს, რომ ხან-და-ხან სადაურობის დასახატავად არ იხმარება «ელი». მართალია, ეს დაბოლოება „ელი“ ახალ დროებში დაერთო და მიუცილებელი საჭიროება არც არის, რომ ყოველთვის ვიხმაროთ იგი. შეგვიძლია ვთქვათ, როგორც იმერ ელი, ქახ-ელი, ისე იმერი, ქახი. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია, ქახეთელი, იმერეთელი, ან ქახეთური, იმერეთული. ამ მაგალითებშიაც ის წესი შეიმჩნევა, რომ დაბოლოებას ალარ დაერთვის ზედ კიდევ ხორცმეტივით სხვა დაბოლოება. „ეთი“ ნიშნავს ქვეყნის კრებულს; «ისი» განსაზღვრებას ან საკუთრებას; „ელი“—სადაურობას; „ური“—ვითარებას. აქითგან გამოირიცხება „ური“, რომელიც ნიშნავს როგორც ვითარებას, ისე სადაურობასაც; მაგ. ქუთათური და ბურული ითქმება როგორც ადამიანის, ისე ნივთისთვის. ქანონიერი წარმოება ბედს ურგუნებია მხოლოდ ქუთაისის მთავარ ეპისკოპოზისა და ბურიის მთავრისთვის, რომელთაც ეძახდენ ქუთათელს და ბურულს.

აქვე უნდა ვთქვა, რომ სახელი ეგრისი, რომელიც აღნიშნავს საქართველოს ერთ კუთხეთაგანს, უსაფუძვლოდ მიგვიტევებია. ეგრისის შვილს ქვია (მ)ეგრელი, ისე როგორც მანგლისისას მანგლელი. მაშასადამე ეგრელის ქვეყანას უნდა ერქვას ეგრისი და არა სა-ეგრელო, ისე როგორც მანგლელისას ქვია მანგლისი, და არა სამანგლელო.

ენის აგებულების წვალებას შეეხებიან კიდევ სასინტაქსო სიტყვის-საქცევები. უცხო მწერლობითგან შეგვიძლია აზრები გადმოვიტანოთ და არა მათი გრამატიკის თხზულება. მაგ. ჩვენ რომ ფრანგული *je vins tout à coup à me rappeler*, ვთარგმნოთ: მოვედი უცებ თავის გახსენებისთვის, ამისთანა თარგმანს გადმოჯაგლაგება ქვია და არა თარგმანი. ცხადია და უნდა ითარგმნოს «უცებ გამახსენდა». მაგრამ უმჯობესია ჩვენი მწერლობითგანვე ამოვიღოთ ამისთანა ნაჯახირევი ფრაზები. ზოგიერთი ჩვენი მწერლები მის გამო, რომ ქართული ცოტად უკითხავთ, არ შეჩვეიან პატარაობითვე ქართულს ბაასს, წერის დროს ხშირად რუსულად ფიქრობენ და ბოლოს ცოხნით კალამს გააგდებინებენ ორიოდე წამებულს ფრაზას. „დროების“ ერთი მეფელეტონეთაგანი, (ნომერი ალარ მახსოვს) „სამეცნიერო საუბარში“ ჰწერდა „მასწავლებელს აქვს განათება და გათბობაო“ და უკანასკნელად ივერიელმა ხონელმა «რკინის სიმრთელეც» შემოგვლენა. ცხადია ორსავე შემთხვევაში ავტორებს

რუსული ფრაზები გადმოუჯაგლაგებიათ ქართულად. პირველს «имѣетъ освѣщеніе и оттопленіе», მეორეს კი „желѣзное здоровье". ესვე მოუვიდა მამა ჯანაშვილის ერთს მეკრიტიკეთაგანს, რომელიც სწერდა „დროებაში" დაახლოებით: მამა ჯანაშვილი ისტორიული დასკვნებით ჩქარობსო. ცხადია, ეს ფრაზა ჩვენებური არ არის, მხოლოდ ქართულად კია ნაწერი. ქართულობა რომ დაეტყოს, უნდა ვთქვათ: მამა ჯანაშვილი ისტორიული აზრების დასკვნას ჩქარობს. სახელზმნის კანკლედობას უნდა ვერიდებოდეთ, რაც შეიძლება. თუ ძველებს უთქვამთ „ქებანი", „თქმანი" ეს დღეს ცოტა არ იყოს გვეჩოთირება და საეჭვოც არი, რომ ხალხს ან მაშინ ელაპარაკოს ამ ნაირად. უფრო საჩოთიროდ მიგვაჩნია „ქებები" „თქმები" მისთვის, რომ ხალხი დღეს ამ ნაირად არც ერთს სახელზმნას არ აკანკლედებს. თუ იხმარს, ისეც იშვიათად; როგორც მაგალითად „სიტყვები". დღეს მწერლობაში ვხმარობთ „კითხვას" მრავლობითს რიცხვშიაც: კითხვები, მაგრამ ხალხს რომ დაუკვირდეთ, მარტო მხოლობითი რიცხვით ხმარობს. საზოგადოდ სახელზმნათა მრავლობითი რიცხვით ხმარება და ორისაევე რიცხვის დაბოლოება მეტი ბარგია. დღეს ენა დაგვებორკება, რომ ვთქვათ: ფურცელნი ამისა შვენიერისა წიგნისანი. ამის მაგიერ ვამბობთ და უსათუოდ პროზა იქნება თუ შაირი, უნდა ითქვას და კიდეც დაიწეროს: „ამ შვენიერის წიგნის ფურცლები".

ამ სრული დაბოლოებების გამო უნდა ვთქვა, რომ თუ საეკლესიო ენის ფორმები ცოტა რითმე განსხვავდებიან საერო ენის ფორმებისაგან, ამის მიზეზია, მეტის მეტი საღვთო სასოება, რომლის წყალობით ტექსტის სიტყვებს თარგმანში პირველი მთარგმნელები თავის გვარად სტოვებდენ, ორიგინალის შედგენილობას მკაცრად იცავდენ, და ბოლოს ხანებში საღვთო ორიგინალის სრული მორჩილება რადღაცა სასულიერო მწერლობის ხელოვნებად გადიქცა და კიდეც დაამუშა ის სამწერლო ფორმა, რომელსაც დღეს ეხედავთ საღვთო წერილის ენაში. დღეს რომ ჩვენ ხელ-ახლად ვთარგმნოთ საღვთო წერილი ორიგინალითგან და თარგმნის დროს ჩვენი ენის ბუნება და თვისება დაუჩაგვრელი დავტოვოთ, დარწმუნებული იყავით, რომ ენა სულ სხვა ნაირი იქნება, ნამდვილი ქართული და არც დედა აზრი იქნება დამახინჯებული.

აი ამ ქართული ენის წინააღმდეგი კანონებით შემუშავებული საეკლესიო ენის ფორმები გადმოდიან ახლანდელ საერო მწერლობაშიაც, რომლის მოთავედ ბ. ილია ჭავჭავაძე, ამის გამო ენას თავის ბუნების წინააღმდეგ ამოძრავებენ. მაგ. ძველი და უხმარი დაბოლოებანი ნედლის ხის შემხმარი შტოებია, რომელნიც უნდა წავ-ხეპოთ. ბ. ილია ჭავჭავაძე ყველაზედ მეტად ეჭიდება ამ ჩვენი ენის ხის შემომხმარ შტოებს, მაგრამ უნაყოფოა მისი და მის მსგავსთა ამ გვარი მეცადინეობა; ხმელი შტოები მათ ვერ შეიმაგრებენ.

ბ. მირიანაშვილი.

(გაგრძელება იქნება).

ოზურგეთიდგან.

ყოველად სამღვდელო გრიგორი, ბურია-სამეგრელოის ეპისკოპოსი, 16 მაისს ქ. ბათუმითგან მობრძანდა ბურიანთაში (25 ვერსტის მანძილზეა ოზურგეთიდგან); აქ ყოველად სამღვდელო მიწვეული იყო თავ. ნაკაშიძის მეუღლის მართას საწირავად. მეორე დღეს ყოველად სამღვდელომ სწირა აქაურს ეკლესიაში და წირვის შემდეგ განუმარტა ხალხს წაკითხულის სახარების სიტყვები და ამ სიტყვების დედა აზრის მნიშვნელობა. ხალხი დიდის ყურადღებით ისმენდა ყოველად სამღვდელოს სიტყვებს, რომელთაც სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზედ. მიცვალებულის ანდერძის აგების დროს აუარებელი ხალხი შეიკრიბა. წესის აღსრულების შემდეგ, როდესაც მიცვალებული გამოასვენეს გარეთ, ყოველად სამღვდელომ კიდეე სთქვა დროის შესაფერი სიტყვა. საგნად აიღო სახარების შემდგომი ადგილი: იდგეშებდით შეკვე, რამეთუ არ იცით დღე—იგი, რომელსა შინა მე კაცისა მოვიდეს (მათ. 25, 13). ეს სიტყვები შვენიერად განმარტა ყოველად სამღვდელომ; მან ბრძანა: „ჩვენ არ ვუწყით დღე და არცა ჟამი ჩვენი სიკვდილისა. ღვთის განგებამ ეს საქმე ასე მოახდინა მისთვის, რათა ერთის მხრით ჩვენ ყოველთვის მომზადებული ვიყოთ განსვლისათვის ამა ქვეყნითგან, და მეორეს

მხრით, რომ კიდევ არ შთავვარდეთ ცოდვაში აქაურ წუთიერ ცხოვრების დროს... რა ჰაზრით, რა გულით და გრძნობით უნდა განვლოს კაცმა ქვეყნიური თვისი ცხოვრება, თუ მას ეცოდინება, რომ ამა და ამ წელს, ამა და ამ რიცხვს მან უნდა სამუდამოთ დაუტეოს იგი, გასწყვიტოს ყოველივე კავშირი მასთან, რაც ანუ ვინც მისთვის ქვეყნად ძვირფასი იყო, მას რაც ქვეყნად ასიამოვნებს, ატკბობს, მოსწონს, რასაც ელტვის, ემსახურება და პატივსა ჰსცემს. ეჭვი არ არის, რომ ამ შემთხვევაში კაცი არ ასცილდებოდა წარმწყმენდელს სასოწარკვეთილებას. ამისთვის არის, რომ უფალმან, რომელსაც არა სურს კაცის წარწყმენდა, არამედ მისი ცხოვნება, არ აუწყა მას მისი სიკვდილის ჟამი. მერმე გადავიდა კერძოდ მიცვალებულის პირადობაზე, მისს წარსრულს კეთილ ცხოვრებაზედ და სიტყვა დააბოლოვა იმ ზნეობითი სწავლით, რომ ჩვენ წინაშე კუბოში მდებარე მიცვალებული ,,თავის ბნელის კუბოთგან" გვასწავებს, რათა მუდამ ვემზადებოდეთ ჩვენ განსვლისათვის ამა ქვეყნითგან, ვემზადებოდეთ კეთილის საქმით; აგრეთვე მიცვალებული გვასწავებს, რომ ჭეშმარიტად ამაო არს ყოველივე ხორციელი, რამეთუ მიწად და ნაცრად გარდავიქცევით''...

ამავე დღეს საღამოთი ყოვლად სამღვდელო გაემგზავრა ქ. ოზურგეთს, საითკენაც გააცილა ის გურიის დიდმა საზოგადოებამ და მიჰყვა ქალაქამდის. ქალაქიდამ სამი-ოთხი ვერსის მანძილზედ ყოვლად სამღვდელოს დახვდა სამღვდელოება, რომელმაც მიიღო ლოცვა-კურთხევა ყოვლად სამღვდელოსაგან და გაჰყვა თან. როცა ქალაქში შევიდა ყოვლად სამღვდელო, მან პირ-და-პირ ეკკლესიაში გასწია. ეკკლესიაში მას აუარებელი ხალხი ელოდა; საკრებულო ეკკლესიის კრებულნი კარის ბჭეში შეეგებნენ ყოვლად სამღვდელოს წესისა მებრ. საკრებულო ტაძრის დეკანოზმა მ. ალ. პავკასიძემ ყოვლად სამღვდელოს უთხრა სიტყვა, რომელიც აქვე მოგვყავს მთლად.

,,თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობავ, ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო! დღეს გურიის საზოგადოება დიდს სიხარულშია; დღეის დღე გურულებისათვის არა ჩვეულებრივი დღეა; დღეს ეს საზოგადოება დიდის ალტაცებით ეგებება თქვენს მეუფებას. ამ სიხარულს, რომელსაც გრძნობს გურიის საზოგადოება და სამღვდელოება, აქვს თავისი საფუძველი, სხვათა შორის, შემდგომში: გურიის საზოგადოება ჩვეულია მღვდელ-მთავართან სულიერად განუყრელ ცხოვრებას; ჩვეულია მისგან უხვად სულიერი საზრდოს მიღებას. ამ მხარეს, რომელიც მოსამზღვრეა უსჯულო ხალხისა, ბევრჯელ ჰქონებია შეტაკება ამ უსჯულო ხალხთან. ეს უსჯულო ხალხი ხშირად აოხრებდა ამ მხარეს და დამღუპველი ზედ გავლენა ჰქონდა გურულებზე. მაგრამ ამისთანა სამწუხარო დროს გურიას ყოველთვის ჰყოლია ქვა-კუთხედათ და მფარველად მღვდელთ-მთავარნი. ეს ,,კეთილნი მწყემსნი'' მწყსიდენ სამწყსოსა თვისსა ღირსეულად; ესენი იყვნენ ხალხის გზის მაჩვენებელნი მისს სულიერს მსვლელობაში; ამ მღვდელთ-მთავრებმა დაიცვეს ხალხის სარწმუნოება მრავალ გვარ გაჭირვებისა და ცვლილების დროს. ამათვე ჰქონდათ მხურვალე მონაწილეობა ყოველს საზოგადო საქმეში და დიდი გავლენაც ხალხზე.

შემდეგ ჟამთა-ვითარების გამო, გურიას აღარ ჰყოლია სანატრელი მღვდელთ-მთავრები. დრო შეიცვალა! უკანასკნელ დროს, როდესაც კითხვა აღიძრა ახალი მღვდელ-მთავრის დანიშვნაზედ, გურიის საზოგადოება დიდის ალტაცებით მოელოდა თქვენ ეპისკოპოსად დანიშვნას და იმედი ჰქონდა, რომ თქვენ, როგორც გამოცდილი და დახელოვნებული თქვენ საქმეში, დიდ სულოვანი, მაღალის გვარის შთამომავალი, ნიჭიერი და მჭევრ-მეტყველი ბევრს სარგებლობას მოუტანთ თქვენს ეპარქიას და კერძოთ გურიას და მით გაამართლებთ ამ უკანასკნელთა იმედს.

აი ეს კეთილი განზრახვა, ეს სურვილი და მოლოდინი დღეს აუსრულდა გურიას; დღეს განუხორციელდა მას თავის სურვილი; დღეს გიხილა თქვენ გურიის საზოგადოებამ პირის-პირ, მომავალი მის დასამწყსველად და უხარის მას. ეს სიხარული უმეტესად სუფევს სამღვდელოებაში, რომელიც არის უმთავრესი საგანი თქვენის ზრუნვისა. ამ სამღვდელოებისათვის საჭიროა საიმედო მწყემსთ-მთავარი, რომელმაც ეს სამღვდელოება სწორ გზაზე დააყენოს. ყოველივე ამას მოელის ეს სამღვდელოება თქვენგან და ამისათვის გულის ძგერით ეგებება იგი თქვენს მეუფებას. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ სამღვდელოება იმყოფება არა სანატრელ მდგომარეობაში როგორც გონებითი გახსნილობით, აგრეთვე ნივთიერად. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ამ შემთხვევაში თქვენ იქნებით მათი სულიერი მკურნალი და წამალი. იმედი გვაქვს, რომ თქვენ აღადგენთ ამ წოდებას და გამოიყვანთ მას იმ გონებითი სიბნელისა-

გან, რომელშიაც ის დღეს არის დროთა-ვითარებისაგან ჩავარდნილი.

ეს არის მიზეზი, რომ ბურიის საზოგადოება და სამღვდელოება ასეთი ლტოლვილებით ეგებება თქვენს შემოსვლას თქვენი ეპარქიის ნაწილში.

სამღვდელოება დაიმედებულია, რომ იგი გაისწორებს ბევრს ნაკლს და საჩინოდ წინ წასდგამს ნაბიჯს ზნეობით თქვენს მფარველობას ქვეშ, ამისათვის მთელი საზოგადოება და მასთან ერთად სამღვდელოება ისურვებენ თქვენთვის დღეთა სიგრძეს, კეთილ-დღეობას და ღვთის შეწევნასა თქვენის მძიმე მოვალეობის აღსრულებაში.

დასასრულ მოვედ სახელითა უფლისათა, უმოწყალესო მღვდელთ-მთავარო და აკურთხე სამწყსო შენი!..''

ამაზედ ყოვლად სამღვდელომ სთქვა ერცელი სიტყვა, რომელიც შემოკლებით აქ მოგვყავს: „რამდენათაც ჩემთვის, ,,კაცობრიობის ბუნებით,'' ბრძანა ყოვლად სამღვდელომ, სასიამოვნო არის ესრეთი სიხარულით მიღება ჩემი ბურიის მცხოვრებთაგან, ეგოდენად სამძიმო და საფიქრებელია ჩემთვის, რადგან ჩემი ეპარქიის სივრცე და ის გარემოებანი, რომელშიაც მე წილად მხვდა მღვდელთ-მთავრობა ამა მხრისა, საკმაოდ ცხადად მაგრძნობინებენ ჩემის მოვალეობის შეუბრკოლებლად და დიდის წარმატებით აღსრულებას. ბურიას როგორც სამეგრელოს რომ წინადროებში ღირსეული მღვდელთ-მთავრები ჰყავდათ, ჩვენ სასიქადულოდ გვაქვს, მაგრამ დროთა ცვლილებამ თვისი შედეგი იქონია. დღეს ბურია და სამეგრელო სასულიერო მმართველობის მხრით შეერთდენ; თუმც უკანასკნელ დროამდე ბურიას საკუთარი მღვდელ-მთავარი ჰყავდა, მაგრამ დღეს ეს ძველნი მეზობელნი, ნათესავნი, სარწმუნოებით და ენით ერთნი, ძველადგანვე ჭირსა და ლხინში ძმანი უფრო დაკავშირდენ და ძველი ურთი-ერთის ჭეშმარიტი სიყვარული უნდა გაალვიძონ და აღადგინონ ერთმანეთში. ბურიის სამღვდელოთაგან მე ბევრს არ მოვითხოვ ჯერ-ჯერობით. მათთვის საკმაო არის კარგი და უზაკველი ცხოვრება და კარგი ზნეობა. ასეთი ცხოვრებითაც დიდს მაგალითს მისცემენ ისინი ხალხს; ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველი არის მივაქციოთ უმთავრესი ყურადღება ჩვენს ძმათ; მაგრამ ამ ჟამად დაშორებულთ—ბათუმისა და ართვინის მაზრებში მცხოვრებ ძველად ქართველებს. მათ ჯერ არ დავიწყებიათ, რომ ისინი ჩვენი ძმანი არიან, მათ ეხლაც ახსოვთ ზოგი ჩვენებური ზნე, ჩვეულება და ქრისტიანული წესები. ამაზედ იმედი მაქვს სამღვდელოებაც და საზოგადოებაც შესაფერს შემწეობას მომცემენ, და თუ ეს ასე იქნება, მაშინ ამ დაკარგულ ძმათაც შეეიძენთ და თვით ადგილობრივი სამღვდელოების საქმესაც კარგათ დავაყენებთ.

ყოველი კეთილ-დღეობის უპირველესი წყარო განათლება არის. ბურიის სამღვდელოებას განათლება სჭირია. ამისათვის სამღვდელოება უნდა ეცადოს, რომ შვილები სასწავლებელში მისცეს. ბურულნი ნიჭიერი ხალხია და თუ მამები ეცდებიან შვილების განათლებას, მაშინ მათი შთამომავლობა უთუოთ მალე შესდგამს ფეხს განათლების წრეში...''

მეორე დღეს, 18-ს, ყოვლად სამღვდელომ სწირა ქალაქის ეკლესიაში. მთელი ქალაქის მცხოვრებნი და ზოგნი გარეშენიც დაესწრნენ წირვაზედ. საყდარში ტევა არ იყო; მრავალი მლოცველები გარეთ იდგენ. წირვის გათავების შემდეგ ყოვლად სამღვდელომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც აქვე მოგვყავს:

,,ამ ქალაქში, ამ ტაძარში სამღვდელოთა და საეროთა პირის-პირ შეველ მე დღეს სულიერის ერთობით პატიოსან მეინახეთა საშვალ ჩემდამო ღვთის მიერ მონიჭებულს ბურიის სამწყსოის საზოგადოებაში. დღეს ჩემის ულირსებისა ოდენ სახითა შეერთდა ბურიისა და სამეგრელოს სასულიერო მთავრობა, შეერთდენ ორნი ძმანი, რომელთაც საუკუნითგან საუკუნედმდე ჰყოლიათ სარწმუნოებისა და მამულის ზოგადი მტერი და ჰქონიათ ზოგადი ჭირი და ლხინი, განგებულების აღუარებელი ბრძანება აღსრულდა და აღსრულდების მარად ჟამ უცვალებლად. დროთა განმავალობა ხან აშორებს ერთმანეთს მკვიდრ ძმებსაც და ნათესავებსაც, ხან შეაერთებს ერთად, რათა უკეთესად იგრძნონ ერთობისა და ძმობის ძლიერება. დედამ ღვთისამან, ივერიისა შემწემან და მფარველმან ინება, რათა შეერთებულვიყავით ჩვენ ერთად, გვეტვირთა ერთი და იგივე ქრისტეს ჯვარი, გვედიდებინა ერთი და იგივე ეკლესია,—შეგვეერთებინა ლოცვა და ცრემლი ჩვენი, დიდება და მადლობა ჩვენი. იმავე ღვთის მშობლისა მეოხებით ღვთის განგებულებამ შეგვიერთა ჩვენ წარწყმედილი ჩვენი ძმები, რომელნიც არა ერთსა საუკუნესა მხოლოდ იყვნენ

განშორებულ ჩვენგან და დღესაც არიან შთავრდომილ მაჰმადიანთა სიბნელეში. ჩვენის ეკლესიის ძველი დიდება შეირყა, ჯერ სარწმუნოებისა მძვინვარე მტერთა მძლავრობით და ბოლოს ახალი დროის გულ-გრილობით. ბურია-სამეგრელოს დიდთა მქადაგებელთა ულირსი მემკვიდრე მოვალ ღდეს თქვენ შორის მქადაგებელი სინანულისა და კეთილის მოქმედებისა.

აწ შეიცვალა დრო, დადგა ჟამი მყუდრო სულიერად და ხორციელად—აღორძინებისა და აღყვავებისა; დადგა მყუდრო ჟამი სულიერად და ხორციელად რუსეთის იმპერიის დიდებულს მფარველობას ქვეშ. აწ არ გვერჩიან მოუსვენარნი მაჰმადიანნი, ღმერთმან შემუსრა მათი ძლიერების რქა და შავის ზღვის აღტყვენილნი ღელვანი მოსისხლე მტერთა ნაცვლად აწ მოგვგრიან მოძმეთა, აწ განსვენებით შეგვიძლიან ვილოცოთ, უშიშრად შევიკრიბნეთ ტაძრებში, დაუბრკოლებლად შეუდგეთ ღვთის მსახურებას, ქრისტეს ჯვარს, ჭეშმარიტ ქრისტიანულს ცხოვრებას. რასაც ამ ჟამადმდე სისხლითა და ხმრლით ვეძიებდით, ეხლა არავინ გვეცილება, არავინ გვიშლის. აწ დადგა ის დრო, რომელსაც წინაპარნი ჩვენნი შენატროდენ.

ბარნა რასა ეხედავთ აწ? მისარგებლეთ ჩვენ ამ გვარის კეთილის დროით სულიერის აღყვავებისათვის? მტკიცეთ შეუდექით ჩვენ ქრისტეს სარწმუნოებას, რომლისთვისაც იბრძოდენ ჩვენი წინაპარნი? სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ სარწმუნოება, ქრისტიანული ცხოვრება და ღვთის სიყვარული ჩვენში ეხლა უმეტეს დაეცა და შეირყა, მის ნაცვლად საკვირველის ძლიერებით გავრცელდა ჩვენს ერში გულგრილობა ღვთისადმი, ურწმუნოება, განრყვნილება, სიძულილი, პირ-უმტკიცეობა, მტაცებლობა, ცილის წამება და დაუდევნელობა ქრისტეს სჯულისადმი. ქრისტიანობისა სახელილა შეგვრჩენია ჩვენ. ახალი დროისაგან ჩვენ შევითვისეთ ყოველივე, რაიცა მაში ბიწიერია, ცრუ და უსჯულო და არც ერთი კეთილი და წინაპართაგან შეგვრჩა მხოლოდ ის, რაიცა აქვნდათ მათ უჯერი და ნაკლული, ღირსებანი მათნი ჩვენ დავიეიწყეთ. აწ ცარიელნი დგანან თვით დიდ ღღესასწაულებში ის ტაძრები, რომელნიც უწინ ძლიესლა იტევდენ მლოცველებს; განჰქრა ჩვენს გულში ლოცვის სიყვარული და სამღვდელოთა და მათ სიტყვათა პატივისცემა, არ ისმის ეკლესიაში ტკბილი გალობა, არ ველტვით სულიერს სწავლასა. თვით ჩვენ, სამღვდელოთა პირთა, შეგვეხო აწინდელი დროის მომაკვდინებელი და სარწმუნოების დამამცირებელი გავლენა. ჭეშმარიტად ის მტერი, რომელიც აწ გვარტყია ჩვენ, უმეტეს საშიშარია და სასტიკი, ვიდრე უსჯულონი, რომელთაც წინაპარნი ხრმლით და სისხლით იგერებდნენ, ეს მტერი, ეს სენი ურწმუნოებისა და გულ-გრილობისა ქრისტესადმი, უხილავია და მაცთური ხრმლით არ მოიგერების, მხოლოდ მტკიცე სარწმუნოებით, სულიერის მხნეობით, განურჩევლად შთამომავლობისა, ხარისხოვნებისა და პირადობისა, სულის წმიდის მადლის თანაშემწეობით, შესაძლებელ არს ბრძოლა მათ წინა აღმდეგ.

მოგიწოდებთ თქვენ, პატიოსანნო სამღვდელონო და კეთილ-გონიერნო ერისგანნო, შეეაერთოთ ძალა, განვახლდეთ და აღვიჭურნეთ სულიერითა საჭურველითა მომაკვდინებელისა ურწმუნოების სენისა წინააღმდეგ და ღმერთი მაღალი, რომელი ხედავს მდაბალთა, მოგვცემს ჩვენ ძლევისა ძალსა ქრისტე იესოს მადლით, რომელიცა იყავნ თქვენთანა. ამინ.»

წირვის შემდგომ ყოველად სამღვდელო წაბრძანდა ბრიგოლ და ლევან ბურიელთ სასახლეში, სადაც დაიბინავა დროებით. ამ დღეს ყველასაგან დიდათ პატივცემულმა ბრიგოლ ბურიელმა გაუმართა პირველი სადილი ყოველად სამღვდელოს. ამ სადილზე იყვნენ მიწვეულნი რამდენიმე პირნი საერონიც და სამღვდელონიც.

დამსწრე მღვდელთაგანი.

სასამართლოს მატიანე

მკვლელობა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორისა, დეკანოზის ჩუდეცკისა ლალიაშვილის-მიერ.

(შემდეგი*)

საბრალ-მდებელო ოქმის წაკითხვის შემდეგ თავსმჯდომარემ, პოლკოვნიკმა იაჩევსკიმ, ჰკითხა ბრალდებულს: სცნობს თუ არა თავის თავს დამნაშავედ სემინარიის რექტორის, დეკანოზის ჩუდეცკის მკვლე-

*) ეს. „მწყემსი“ № 18.

ლობაში? ᲐᲛᲐᲖᲔ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲚᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲣᲞᲐᲡᲣᲓᲐ: «ᲓᲘᲐᲚ, ᲕᲡᲪᲜᲝᲑᲝ». ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲛᲔᲑᲠ ᲚᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲣᲐᲛᲑᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡᲐ: ,,7-Ს ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲠ ᲗᲕᲐ ᲛᲔ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ: ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲐ, ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜ ᲡᲐᲦᲛᲘᲗᲝ ᲛᲝᲛᲫᲦᲠᲔᲑᲔᲑᲡ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲓ ᲘᲒᲓᲔᲑᲝ; ᲡᲐᲦᲕᲗᲘᲡ-ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲘ ᲘᲔᲖᲣᲘᲢᲣᲠ ᲡᲐᲒᲜᲔᲑᲐᲓ ᲛᲘᲒᲐᲩᲜᲘᲐᲜᲝ; ᲒᲐᲛᲙᲘᲪᲮᲐ, ᲠᲐᲓ ᲘᲦᲔᲑ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲘᲛ ᲮᲔᲚᲗ-ᲜᲐᲬᲔᲠ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲐᲠᲗᲣᲚᲡ ᲔᲜᲐᲖᲔᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡᲝ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲰᲥᲕᲘᲐᲜ ,,ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲝ''. ᲛᲔ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲔᲡᲛᲘᲡᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲠᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ,,ᲘᲔᲖᲣᲘᲢᲣᲠᲘ''. ᲠᲝᲪᲐ ᲐᲕᲣᲮᲡᲔᲜᲘ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔ ᲛᲔᲡᲛᲝᲓᲐ, ᲔᲘ. ᲘᲗ. ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲛᲔ ᲓᲐᲪᲘᲜᲕᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲡᲣᲠᲓᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲘᲔᲖᲣᲘᲢᲔᲑᲘ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲞᲘᲠᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ; ᲛᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡᲐ, ᲕᲘᲗᲝᲛ ᲔᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡᲘᲡ ᲜᲐᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲡᲐ ᲛᲔ ᲡᲐᲡᲐᲪᲘᲚᲝᲓ ᲕᲘᲒᲓᲔᲑᲓᲘ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲡ ,,ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲨᲘ'' ᲙᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲕᲘᲦᲔᲑᲓᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲔ, ᲡᲮᲕᲐᲜᲘᲪᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲣᲗᲮᲐᲠᲘ, ᲠᲝᲛ ᲓᲦᲘᲣᲠᲨᲘ ᲘᲛᲘᲢᲝᲛᲐ ᲔᲮᲛᲐᲠᲝᲑ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡ ,,ᲮᲣᲪᲔᲡᲘ'' (попъ) ,,ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ'' ᲛᲐᲒᲘᲔᲠ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲘᲒᲘᲕᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ; ᲘᲛᲘᲗᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘᲛᲔ ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲧᲝᲤᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲡᲣᲠᲓᲐ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡᲐ; ᲥᲐᲓᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡ ᲘᲡᲔ ᲕᲘᲡᲬᲔᲠᲓᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲡᲛᲝᲓᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲐᲛᲐᲡ ᲕᲣᲮᲡᲜᲘᲓᲘ, ᲘᲒᲘ ᲒᲐᲯᲯᲐᲕᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲨᲔᲕᲓᲛᲓᲒᲐᲠᲘᲧᲐᲕ. ᲛᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲕᲓᲔᲥ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲒᲐᲜᲕᲐᲒᲠᲫᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ; ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲘᲡᲔ ᲐᲦᲔᲚᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲠᲯᲘᲓᲐᲛ ᲓᲐᲒᲘᲗᲮᲝᲕᲝ. ᲛᲔ ᲛᲝᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔ, ᲠᲝᲛ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛ ᲒᲐᲐᲠᲩᲘᲝᲡ ᲔᲡ ᲩᲔᲛᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲗᲣ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔ, ᲓᲐᲛᲡᲐᲯᲝᲜ. ᲮᲝᲚᲝ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲗᲮᲝᲣᲚᲝᲑᲓᲐ: ᲓᲐᲩᲣᲛᲓᲘ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲮᲐᲠᲯᲡ ᲛᲝᲒᲐᲙᲚᲔᲑᲝ. ᲔᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ. ᲛᲔ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲛᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲨᲔᲜᲡᲙᲔᲜ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲝ, ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲙᲘ ᲨᲔᲜ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲐᲝ. ᲘᲛ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲡ ᲐᲠ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ, ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲡ ᲐᲘᲛᲫᲣᲚᲕᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ. 17 ᲛᲐᲠᲢᲡ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡᲐ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲰᲠᲔᲙᲐᲓ. ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲓᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲐᲠᲩᲘᲐ, ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲞᲘᲡᲔᲛᲡᲙᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐ ,,ᲛᲔᲝᲠᲛᲝᲪᲔ ᲬᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲜᲘ; ᲐᲛ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ ᲘᲓᲝᲛ ᲠᲕᲔᲣᲚᲘ ᲐᲛ ᲔᲞᲘᲖᲠᲐᲤᲘᲗ ,,ᲪᲝᲓᲜᲐ—ᲐᲖᲐᲢᲝᲑᲐᲐ, ᲪᲝᲓᲜᲐ—ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔᲐ, ᲗᲣ ᲙᲐᲪᲡ ᲪᲝᲓᲜᲐ ᲐᲠᲐ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲝᲜᲐᲐ''. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲬᲘ�გᲜᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲘᲡ ᲜᲐᲮᲔᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲖᲔᲓᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚᲘᲡ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲕᲐᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲬᲔᲠᲐ. ᲔᲡ ᲬᲘᲗᲜᲘ ᲡᲣᲠᲓᲐ

ᲬᲐᲔᲚᲝ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲜᲔᲑᲔ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲮᲕᲘᲡᲐ ᲘᲧᲝ. ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲠᲝᲛ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ,,Отеч. записки'' ᲛᲘᲛᲔᲢᲐᲜᲐ. ᲛᲔ ,,Отеч. записки'' ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲑᲝᲚᲘᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲮᲐᲓᲔ ᲘᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲔ ᲛᲐᲡ ᲛᲝᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲛᲝᲡᲚᲔᲚᲘᲡᲐᲡ: ,,ᲡᲮᲕᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲮᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲒᲐᲥᲕᲗ''-ᲛᲔᲗᲥᲘ. ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲔᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ, ᲐᲛᲐᲜᲐᲪ ,,Отеч. записки'' ᲛᲝᲛᲗᲮᲝᲕᲐ. ᲛᲔ ᲔᲒ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲥᲕᲡ-ᲛᲔᲗᲥᲘ. ,,ᲛᲔ ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲒᲔᲜᲓᲝᲑᲘᲝ, ᲛᲔ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲕᲔᲜᲓᲝᲑᲘᲝ,'' ᲛᲘᲞᲐᲡᲣᲮᲐ ᲛᲐᲜ, ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲢᲐᲜᲔ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲡ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲘ-ᲓᲐᲛᲐᲮ. ᲛᲔ ᲔᲡᲗᲮᲝᲕᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲘᲒᲐᲗ ᲓᲐᲕᲔᲡᲐᲯᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲛᲐ ᲐᲠᲐ ᲰᲥᲜᲐ, ᲣᲗᲣᲗᲣᲓ ᲓᲐᲣᲧᲝᲕᲜᲔᲑᲚᲘᲔ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲢᲐᲜᲔ ᲗᲮᲝᲕᲜᲐᲝ. ,,ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠ ᲩᲥᲐᲠᲐ ᲨᲔᲛᲝᲛᲘᲢᲐᲜᲔ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲤᲘᲪᲮᲚᲐᲕ ᲛᲝᲕᲐᲮᲓᲔᲜ ᲙᲠᲔᲑᲐᲡ, ᲓᲐᲒᲘᲗᲮᲝᲕᲗ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲐ-ᲥᲪᲔᲕᲐᲨᲘ 4 ᲙᲘ ᲐᲠᲐ, 3 ᲓᲐᲒᲘᲡᲘᲕᲐᲛᲗᲝ.'' ᲠᲐ ᲛᲔᲥᲜᲐ, ᲛᲘᲕᲔᲪᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ; ᲛᲝᲛᲪᲔᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲐ-ᲥᲪᲔᲕᲐᲨᲘ 4 ᲓᲐᲛᲘᲡᲕᲔᲡ. ᲛᲔ ᲛᲘᲕᲔᲓᲘ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ, ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲔᲑᲡᲐᲪ, ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ ᲨᲔᲕᲔᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐ-ᲙᲘ ᲧᲝᲤᲐ-ᲥᲪᲔᲕᲐᲨᲘ 4 ᲛᲥᲝᲜᲓᲐ, ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲦᲔᲡ. ᲡᲐᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲨᲘ ᲛᲝᲬᲕᲐᲤᲔᲔᲑᲛᲐ ᲔᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲛᲝᲛᲪᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲐᲥ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ, ᲗᲣ ᲧᲝᲤᲐ-ᲥᲪᲔᲕᲐᲨᲘ 4 ᲐᲥᲕᲗ, ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲔᲑᲡ ᲮᲛᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜᲝ. ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲐᲰᲝᲕᲐᲚᲝᲕᲛᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲔᲛᲜᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲔᲑᲡ ᲐᲗᲐᲕᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲔᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡᲡ ᲛᲘᲕᲐᲠᲗᲕᲘ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲐᲕᲠᲐᲓ ᲕᲔᲙᲣᲠᲗᲮᲔᲑᲘᲜᲔ. ᲛᲪᲘᲠᲔ-ᲬᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝ ᲣᲐᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲪᲮᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲯᲔᲠ ᲞᲠᲘᲩᲔᲢᲜᲘᲙᲐᲓ ᲬᲐᲕᲡᲣᲚᲘᲧᲐᲕ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲛᲗᲐᲕᲠᲐᲓ ᲒᲐᲙᲣᲠᲗᲮᲔᲑᲝ. ᲔᲥᲩᲐᲠᲮᲝᲡᲛᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲨᲘ ᲐᲦᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲦᲝ. ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲔ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲕᲡᲗᲮᲝᲕᲔ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲠᲝᲛ, ᲗᲣ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐᲨᲘ 5 ᲐᲠ ᲓᲐᲛᲘᲜᲘᲨᲜᲐᲗ, ᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲛᲔᲪᲘᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲓᲐᲛ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲔᲛᲔᲜᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲐᲪ ᲛᲘᲖᲘᲡ 5. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲩᲔᲛᲡ ᲗᲮᲝᲕᲜᲐ-ᲛᲣᲓᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲧᲣᲠᲘ ᲐᲠ ᲐᲗᲮᲝᲕᲔᲡ; ᲐᲡᲔ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲔᲗ, ᲮᲔᲚᲖᲔ ᲡᲐᲛᲗᲮᲔᲕᲔᲕᲐᲓᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘ-ᲨᲕᲔᲑᲓᲐ ᲮᲝᲚᲛᲔ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲓᲔᲑᲝᲓᲘ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲕᲔᲕᲔᲓᲠᲔ ᲒᲐᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲜᲐᲗ ᲧᲝᲤᲐ-ᲥᲪᲔᲕᲐᲨᲘ 4-ᲮᲘ 5-ᲖᲔ, ᲐᲜ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲔᲪᲐᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲣᲚ ᲢᲧᲣᲘᲚᲐᲓ. ᲛᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲭᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲘ; ᲛᲝᲙᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲡ, ᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔᲑᲡ, ᲛᲔ ᲚᲣᲙᲛᲐ ᲞᲣᲠᲘ ᲛᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲝᲓᲐ. ᲠᲐ ᲛᲔᲥᲜᲐ, ᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲛᲔᲛᲐᲠᲗᲜᲐ? ᲐᲠᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲘᲦᲔᲡ: ᲐᲠᲪ

სახელმწიფო და არც კერძო სამსახურში; სასწავლებელში შესვლა ამ ნაირის მოწმობით ხომ სრულიად საფიქრებელი არ იყო.“

როდესაც თავს-მჯდომარემ ჰკითხა, რამდენჯერ მიმართეთ რექტორს თხოვნით, ლალიაშვილმა უპასუხა: „მარტის თთვიდამ 24 მაისამდე—16 ჯერ. როცა ხანჯალი ვიყიდე, მე არავისიმე სიკვდილი არ მინდოდა; ჩემი თავის მოკვლას ვფიქრობდი. 24 მაისს გამივიდა ყველი სახლში დგომისა. შემოვირტყი ხანჯალი პალტოს ქვეშ და წავედი რექტორთან. ჯერ ბევრი ვემუდარე, ვეხვეწე, რომ მოწმობა მოეცა; თვალ-ცრემლიანი შევთხოვდი... Oუნდა კიდეც მოვკვდე, არ მოგცემო! მითხრა და შებრუნდა ოთახში. მეორედ მოვედი კიდევ; და როცა გამოვიდა, დავიჩოქე მის წინ და შევესთხოვე: თუ მოწმობას მომცემთ, სიცოცხლეს დამიბრუნებთ, თორემ მე სიმშილით სიკვდილი მომელის-მეთქი. მაგრამ მან არც ამ ჟამად შემიწყალა. მაშინ მე წარმოვესთქვი: მაშ რა ექნა? ცარცვა-გლეჯით დავირჩინო თავი?—შენი გზა ეგ არისო, მომაძახა. მე საშინლად ავღელდი, თვალთ დამიბნელდა... Iს-ლა მახსოვს, რომ ხანჯალი ამოვიღე და მოვიქნიე. სხვა აღარა მახსოვს-რა. რექტორი მე ჯიბრში მიდგა: სემენარიის შვგირდებს გამოუცხადა, რომ არ მომკარებიყენენ, ჩემთან არ ეღლოთ: •თუ შეგნიშნავთ ლალიაშვილთან, იმავე დღეს დაგაყენებთ, რაც იმას დავაყენეო“, ამბობდა ხოლმე რექტორი.“

სასამართლომ მოიწვია მოწმები და დააფიცეს. მოწმეებმა: მარიამ Aნანიას ასულმა ჩუდეკისამ და ძისმა დამ Eკატერინე Aნანიას ასულმა მანჟელეისამ იგივე აჩვენეს, რაც იყო საბრალმდებელო ოქმში. ბრალ-მდებელის კითხვაზე ორთავე მოწმემ სთქვეს, რომ სულ 2 თუ 3 წამი გავიდა ლალიაშვილის მოსვლის შემდეგ, როცა ყვირილი მოისმაო. ჩუდეკისამ აჩვენა, რომ იგი ლალიაშვილს იცნობს, ამიტომ რომ მის ქმარს ინსპექტორთან ხშირად ჰქონდა იმაზე ბაასი. ლალიაშვილი იყო ჩემ ქმართან ერთხელ მარტშიო.

მასწავლებელმა Iექტორ Iგნატის ძემ ლოტოცკიმ აჩვენა, რომ როდესაც ლალიაშვილი მახათაძის ოთახში შევიყვანეო, ქარქაში დავაგლიჯეო. ლალიაშვილს ისრე ეჭირა თავი კლასში, როგორც სხვა შეგირდებსაო. როცა იგი შევიპყარით, გაჩუმებული იყო და სახეზე აღელვება ემჩნეოდაო.

მასწავლებელი Bიორგი Bასილის ძე ჩეტირკინი: „ინსპექტორის თანაშემწემ მახათაძემ წაართვა ლალიაშვილს ხანჯალი. როცა ყვირილის გამო გარედ გამოვარდი, დავინახე რექტორი შესისხლიანებულის კალთებით. ლალიაშვილი, რომელიც მე მეჭირა, ყვიროდაო: „გამიშვით, გამიშვითო!“

ახალი ამბები და შენიშვნები.

Oჯახების სიების აღწერას კარგი ხანია რაც შეუდგენ Bორაპნის მაზრაში და მუყაითად ცდილობენ, რომ გაათავონ დანიშნულ დროზედ. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ყველგან ერთ წესზედ არ ადგიან და ბევრს ადგილას ეს სიები რიგიანად არ დგება, რომლის გამო საჩივრები და უბრალო თხოვნები მრავლდება.

***

ჩვენ შევიტყეთ, რომ 11-ს ამ თთვეს სამხედრო მინისტრი მობრძანდება Oბილისში. ხმები არის აგრეთვე გავრცელებული, რომ უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი ბ. პობედონოსცევი რუსეთში დაბრუნების დროს საქართველოში გამოიელის, გელათის მონასტერს ნახავს და მერე ბათუმისკენ გაემგზავრება.

***

ბევრი პირებისაგან გავიგონეთ საჩივრები მღვდლებზე, რომ ისინი არ აძლევენ მეტრიკის ამოწერილობაებს, ოჯახის სიების ამწერლებისაგან მოთხოვნილს, თუ სამ აბაზიანი მარკა არ მიგვატანინესო. უნდა იცოდეს ყველა მღვდელმა, რომ ამისთანა მოწმობაების მიცემა უმარკოდ შეიძლება, რადგან კანონი არ თხოულობს ამისთანა მოწმობაებზე მარკების დაკვრას.

***

Cუდი გზებისა და გზაში სხვა-და-სხვა გაჭირვებისა გამო შავი ქვის [მარგანეცის] ზიდვა ქართველმა მეურმეებმა ქართლისკენ დაიწყეს—ჭერათხევის გზით Bომის სტანციაში.

***

ამ ცოტა ხანში საიმპერატორო საზოგადო წიგნთ-საცავში წარუდგენია ბ. ა. ბ. ზვენიგოროდსკის სახარების ორი ფურცელი პერგამენტზე დაწერილი; ეს ფურცლები ეკუთვნიან თურმე მეთორმეტე საუკუნეში დაწერილს სახარებას. ერთ ამ ფურცელზე დახატულიაო მახარებელი ლუკა, რომელიც სზის ანალოგიასთან და სწერს სახარებას; მეორე ფურცელზე არის გამოხატული შთასვლა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი ჯოჯოხეთში. მხატვრობა ვიზანტიის და ქართული ხელოვნებისა არისო. სახეები სურათებისა ქართველთა სახეების მსგავსიაო. მშვენიერი ხელოვნება არის თურმე და კარგადაც შენახულია ეს ფურცლები. ამბობენ, რომ მეორე შესანიშნავ ადგილს დაიკავებენ ეს ნაშთები ამ წიგნთ-საცავში ბიჭვინტის სობოროის სხვა-და-სხვა ძველ ნაშთებთა შორისო.

***

ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამავე წიგნთ-საცავისათვის შეუწირავს ბ. საბინინს XI და XII საუკუნის დროის მშვენიერად მორთული და დაწერილი ქართული სახარება შესანიშნავი მინიატურებით. საინტერესოა შეიტყოს კაცმა, თუ საიდგან მოიპოვა ბ. საბინინმა ეს ძველი და ჩვენი ისტორიისათვის შესანიშნავი ნაშთი? ჩვენის აზრით ამისთანა ნაშთები ინახებოდნენ ეკკლესიებში და მონასტრებში და საიდგან ჩავარდა გარეშე პირის ხელში ეს ძველი ნაშთი?

უკანასკნელი დროის ზოგიერთი საყურადღებო

ტელეგრამმები.

2 ივლისი.

კ ი ე ვ ი. აქაურს სამხედრო ოლქის სასამართლოში გაირჩა ექვსი შტუნდისტის საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ, რომ შეურაცხყოფა მიაყენეს მღვდელს, როცა იგი მიცვალებულს ასაფლავებდა; ამას გარდა მათ ბრალდებოდათ ღვთის გმობა. სამს მათგანს გადაუწყვიტეს 12—15 წლამდე კატორღა, დანარჩენებს ექვს-ექვსი თვე საპყრობილეში ყოფნა.

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ო პ ო ლ ი. ბოლგარიამ უარი განაცხადა დანიშნოს დელეგატები იმ კამისიაში, რომელმაც ორგანებული წესდება აღმოსავლეთის რუმელიისა უნდა გადაშინჯოს; ხოლო სურვილი კი განაცხადა, რომ ოსმალეთის დელეგატებს მოველაპარაკებით ზოგიერთა განსაკუთრებითს საგნებზეო.

სალონიკისა და სერასის გარემო გაჩნდა აუარებელი ბრბო ბოლგართა, რომელნიც ოსმალეთის ჯარის-კაცთ სასისხლოდ შაეტაკნენ.

6 ივლისს.

პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი. გუშინ პეტერგოფის დიდს სასახლის ეკკლესიაში დაიფიცა დიდმა მთავარმა ალექსანდრე მიხაილის ძემ. ფიცის დროს დაესწრნენ მათნი იმპერატორებითი უდიდებულესობანა და მთელი საიმპერატორო გვარეულობა. გუშინვე დიდს მთავარს ალექსანდრე მიხაილის ძეს ებოძა ფლიგელ-ადიუტანტობა.

7 ივლისს.

პ ე ტ ე რ ბ უ რ გ ი. დეპარტამენტი საბაჟო გარდასახადისა ცირკულიარით აუწყებს საპაქოებს, რომ განსაზღვრული პრემია მიეცემა მხოლოდ იმ შაქარზე, რომელსაც 1-ს ივლისამდე გაიტანებენ სამზღვარ გარედაო.

ლ ო ნ დ ო ნ ი. სამი ოლქის გარდა არჩევნები ყველგან გათავდა. ახალს პარლამენტში; ვგონებთ, იქმნებიანო 317 კონსერვატირი და 76 დისიდენტი ლიბერალების ბანაკისაო.

განცხადებანი.

ისყიდებიან მღვ. დავით ღამბაშიძისაგან გამოცემული წიგნები:

თბილისში: ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ყვირილაში: ყვირილის ნათლის-მცემლის ეკკლესიის საეკკლესიო ნივთების საწყობში და დ. ხონში: წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

სახელდობრ:

საქართველოს საეკკლესიო ისტორია

ფასი უყდოთ—ცხრა შაური.

ქართული ლოცვანი,

ფასი უყდოთ 30 კ. და ყდით 45 კ.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

სახელმძღვანელო წიგნი,

ფასი ყდით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება, ფასი ორი აბაზი.

ახალი კარაბადინი,

ფასი ყდით ერთი მან.

ყვირილის საეკკლესიო სანთლის საწყობში ისყიდებიან აგრეთვე ყოველ-გვარი საღმრთო საეკკლესიო წიგნები და ნივთები.

სტამბა

მ. დ. ღამბაშიძისა და აზ. ე. ი. ხელაძისა.

სტამბა გაიხსნა მსწრაფლ-მბეჭდავი მაშინით და ყველა მოწყობილობით ქ. ქუთაისში 15 მაისს, 1886 წ. კნიაჟესკის და ნემეცის ქუჩაზე, საქალებო გიმნაზიის პირ-და-პირ, მამაჯანოვის და ამირალოვის სახლებში.

იღებს ყოველ გვარ საბეჭდავ საქმეებს სხვა-და-სხვა ენებზედ. ფასი ყველა საბეჭდავზე ზომიერია. შეკვეთილი საქმეები დაპირებულ დროზედ ჩაბარდებათ ყველას.

სამღვდელოებას ყოველ-გვარი საჭირო ბლანკების დაბეჭდვა და მოპოვება შეუძლია ზომიერ ფასად. ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შეუძლიათ მიმართონ ამ ადრესით: *Въ Кутаисъ, въ типографію Гамбашидзе и Хеладзе* ანუ *Въ Квирилу, въ редакцію „Мцкемси" (Пастырь) и Въ Тифлисъ въ типографію Е. И. Хеладзе. въ собст. домъ.*

შინაარსი: რა მიზეზია, რომ ასე ცოტანი იგზავნებიან ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებელში კურს შესრულებულნი სემინარიის პირველ კლასში?—ბაბელის შენობა ჩვენი ენის ფორმების ხმარებაში.—ოზურგეთიდამ.—მკვლელობა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორისა, დეკანოზის ჩუდეცკისა ლაღიაშვილის მიერ.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ტელეგრამმები.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი მღვ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 9 Іюля, 1886 г.*

მსწრაფლ-მბეჭდავი მღვ. დ. ღამბაშიძისა და ე. ი. ხელაძისა.